სახალხო გაბითლება+

„ქვეყნად არცერთი ბრძენი არ იყო, მასწავლებელი არა ჰყოლოდა“.
იოსებ ნონეშვილი

● №14 (4535) ● 26 ოქტომბერი ● 2016 წელი ● ● ● ● ● გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით ● ფასი 1 ლარი ●

პირველად ისტორიაში: 41-ე ბაგა-ბაღის დირექტორი „თბილისზე მზრუნველის“ ლაურეატია

მაყვალა ჩუბინიძე და მისი ცერადღენები



2014 წელს, თბილისის მერის დავით ნარმანიას ინიციატივით, „თბილისზე მზრუნველის“ საპატიო ჯილდო დაწესდა, რომელსაც მესამე წელია წარმატებულ მოქალაქეებს გადასცემენ. წელს 7 ადამიანი დაჯილდოვდა. წარდგენილ კანდიდატებს შორის, ამ წოდებაზე **პირველად**, ბაგა-ბაღის დირექტორი დასახელდა. ქალბატონი, რომელიც ღირსეულად ემსახურება თავის პროფესიას და წვლილი შეაქვს ჩვენი ქალაქის განვითარებაში, 41-ე ბაგა-ბაღის დირექტორი **მაყვალა ჩუბინიძე** გახლავთ.

ქალბატონი მაყვალა ჩუბინიძე 54 წელია საბავშვო ბაღში მუშაობს. დაიბადა ლაგოდეხის რაიონის სოფელ ლელიანში. თბილისის ყოფილი ა. ს. პუშკინის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მასწავლებლად მუშაობდა. მალე მეუღლესთან ერთად საცხოვრებლად გერმანიაში გადავიდა. საბავშვო ბაგაში დაიწყო მუშაობა. თბილისში დაბრუნების შემდეგ, 83-ე ბაგა-ბაღში გააგრძელა თავისი საყვარელი საქმე, სადაც 35 წელი იღვაწა. ძალიან პატარა შენობაში მხოლოდ 4 ჯგუფი ფუნქციონირებდა. ქალაქის ბაგა-ბაღების მაშინდელი ინსპექტორის **ნუნუ ჯანჯღავას** გვერდში დგომით, ბევრს მიაღწიეს, გაფართოვდნენ, ბავშვების რაოდენობაც გაიზარდა და 8 ჯგუფი გაიხსნა. შემდეგ 41-ე ბაგა-ბაღში გადმოვიდა და 19 წელია ერთ მუშტად შეკრული კოლექტივი წარმატებას წარმატებაზე აღწევს. გაჭირვების წლებიც გამოიარა, ის დრო, როდესაც ბავშვებისთვის საჭმელი სახლიდან მოჰქონდა. ქალბატონ მაყვალას ჰყავს ორი ქალიშვილი, სამი შვილიშვილი და ორი შვილთაშვილი.

თბილისის 41-ე საბავშვო ბაგა-ბაღი მართლაც რომ სანიმუშოა. შენობაში შესვლისთანავე იგრძნობთ საოცრად თბილ გარემოს, ყველაფერი ლამაზია, გაღიმებულები და ბედნიერები გეგებებიან, გმასპინძლობენ და თავი მართლაც ჯადოსნურ სამყაროში გგონია. პატარებისთვის საუცხოო პირობებია შექმნილი. ნიჭიერი, შემოქმედი დირექტორის დაუღალავი შრომის შედეგი თვალშისაცემია და სწორედ ამიტომაც შეარჩია თბილისის მერიამ და ბაგა-ბაღების მართვის სააგენტომ წარჩინებულთა შორის წარჩინებული.

ქალბატონ მაყვალასთან ერთად ინაწილებენ ბავშვებზე ზრუნვის სწორედაც რომ მძიმე ტვირთს ქალბატონები: **მარიკა მაღლაკელიძე** (დირექტორის მოადგილე), **ლიანა შარაშენიძე** (საქმისმწარმოებელი), **დალი მელქაძე** (საგან-

▶▶ გაგრძელება მე — 2 გვ.

მასწავლებლებო, ითანამშრომლეთ ჩვენთან!

ერთი შეხედვით, საზოგადოების განსაკუთრებული ყურადღების ღირსი არაფერი მომხდარა – 30 სექტემბერს, თბილისის ისნის რაიონის 98-ე საჯარო სკოლაში შეკრებილმა დელეგატებმა რაიონის პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირული ორგანიზაცია აღადგინეს და მის თავმჯდომარედ ერთხმად აირჩიეს სპმთპ-ის საორგანიზაციო დეპარტამენტის კოორდინატორი ქალბატონი **ქეთევან ხეტეშვილი**.

მანამდე საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის

ПРОФКАВШИРУЛИ ЦХОВРЕБА

უმნიშვნელო ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტი

(პრეზიდენტი, ქალბატონი **მაია კობახიძე**) ცენტრალურმა ოფისმა პირადად, ქალბატონმა **ქეთევან ხეტეშვილმა** დიდი მუშაობა გასწიეს რაიონში არარსებული, უფრო ზუსტად, წინა ხელისუფლების მიერ მიზანდასახულად განადგურებული პროფესიული კავშირის აღსადგენად. მასწავლებელთა, მეცნიერთა და საბავშვო ბაგა-ბაღების აღმზრდელ-პედაგოგთა დასარწმუნებლად პროფკავშირულ ორგანიზაციაში გაწევრიანების მიზანშეწონილობაში. შედეგიც მოიმკეს – რაიონის 30 კაციანი ორგანიზაცია წელიწადნახევრის განმავლობაში 405 წევრით გაიზარდა, პროფკავშირის ფუნდამენტური ღირებულებების – ნებაყოფლობითობის მკაცრი დაცვით.

ეს უკვე ისტორიაა, მაგრამ მისი დავიწყება და წარსული გაკვეთილების გაუთვალისწინებლობა სიკეთეს არასოდეს მოგვიტანს. 2010 წელს სააკაშვილის „გუნდმა“ სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა ქვეყანაში არსებულ დამოუკიდებელ პროფკავშირებს. მისი უპირველესი და განსაკუთრებული ინტერესის საგნად სწორედ განათლების და მეცნიერების სფეროს პროფესიული გაერთიანება იქცა. სხვანაირად, საქართველოში თავისუფალი აზრის ჩაკვლა, საზოგადოების დაშინება, ხელისუფლების დიქტატურული რეჟიმისაკენ სწრაფვა, შეუძლებელი იქნებოდა.

იმ დაუნდობელ ბრძოლაში, მართალია, მასწავლებელთა და მეცნიერთა პროფესიული გაერთიანება ძალიან დაზარალდა, მაგრამ მისი წევრებისა და ხელმძღვანელობის მონდომებისა და შეუდრეკელი ხასიათის წყალობით, სულით არ დაცემულა, ხელისუფლების მონად არ ქცეულა, ბრძოლაზე ხელი არ აუღია. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ამ ორგანიზაციის წვლილი დასაქმებულის პიროვნული თავისუფლების განვითარებასა და კონსტიტუციური უფლებების დაცვაში საკმაოდ დიდია.

თბილისის ისნის რაიონის პროფკავშირული ორგანიზაციის აღდგენა, უპირველეს ყოვლისა, იმაზე მიანიშნებს, რომ საქართველო ნელ-ნელა, მაგრამ მაინც მიდის დემოკრატიისკენ. ხელისუფლებას არ ეშინია პროფესიული გაერთიანებებისა, ხელს არ უშლის მის ზრდა-განვითარებას, პირიქით, თანამშრომლობს მასთან და ითვალისწინებს წინადადებებს პედაგოგთა შრომით, სოციალურ-ეკონომიკური, პროფესიული პირობების გასაუმჯობესებლად. განათლების სფეროში დასაქმებული ადამიანები აღარც საკუთარი აზრის საჯაროდ გამოთქმას გაურბიან, აღარც მწვავე საპროტესტო გამოსვლებს, აღარც სამსახურის დაკარგვისა ეშინიათ და მომავლის იმედიც აქვთ.

ყველაფერი ეს იმ პატარა შეკრებაზეც გამოჩნდა. თუნდაც, თბილისის 86-ე საჯარო სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის, 84 წლის დამსახურებული, უჩვეულოდ ენერგიული და გონებანათელი ადამიანის, ქალბატონ **ნელი სოსელიასთვის** სკოლაში მუშაობის 60 წლის იუბილესთან დაკავშირებით სიმბოლური საჩუქრის გადაცემის გულისამაჩუყებელი ცერემონიალი რად ღირდა!..

პროფკავშირული მოძრაობის აღორძინება საქართველოში თანამედროვე, ცივილიზებული, დემოკრატიული პროცესების განვითარებაზე მიანიშნებს.

ამიტომაა განსაკუთრებული ყურადღების ღირსი თბილისის ისნის რაიონში პედაგოგთა და მეცნიერთა პროფკავშირული ორგანიზაციის აღდგენა.

მიხეილ დარახველიძე

მაყვალა ჩუბინიძე და მისი ცეროდენები

▶▶ პირველი გვერდიდან

მანათლებლო პროგრამების კოორდინატორი), **ნუნუ ბუქური** (სამეურნეო ნაწილის კოორდინატორი), **მარიამ ჩახავა** (ჯანმრთელობისა და ჰიგიენური უზრუნველყოფის კოორდინატორი).

სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში მოღვაწეობენ, ბავშვების განათლებასა და ჯანსაღი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაზე ზრუნავენ აღმზრდელები: **გოგუცა კაბოსნიძე**, **ელისო იაკობაშვილი**, **ელენა ბრეგაძე**, **ლელა გურაბანიძე**, **ნატალია გახარია**, **ანგელინა გაბრიჩიძე**, **მედეა ღვინიაშვილი**, **თამარ ზაკალაშვილი**, **ნატო ბისეიშვილი**, **დიანა სიდიანი**, **დიანა მაისურაძე**, **თამარ ლაფერაშვილი**, **მარინე კვეტენაძე**, **შორენა სურმანიძე**.

თავისი საქმის ჩინებული სპეციალისტები არიან – ფსიქოლოგი **თინათინ გელაშვილი**, ლოგოპედი **ირმა რუხაძე** და სპეცპედაგოგი **მარიკა ლუკავა**.

მუსიკალური გემოვნების ჩამოყალიბება დიდი შრომის შედეგად მიიღწევა. ამ მიმართულებით გატაცებით მუშაობენ მუსიკისა და ცეკვის პედაგოგები – **ეთერ შამანაური** და **თინათინ შეყილაძე**.

ქალბატონი მაყვალა ამაყობს თავისი კოლექტივით. დატვირთული დღის გრაფიკი აქვთ. დილა გამამხნევებელი ვარჯიშით იწყება, შემდეგ საუზმე, სადილი, სამხარი. შუალედებში აქტივობები და მეცადინეობები. ამ საქმიანობის დროს აღმზრდელების მხარდამხარ დგანან აღმზრდელის თანაშემწეები: **დალი ბარვენაშვილი**, **ნონა უზარაშვილი**, **ხათუნა კიწმარიშვილი**, **მზია კალანდაძე**, **მაია ლაბაძე**, **ნანა ჩხაიძე**, **ნონა მეტრეველი**, **მარინე ლოლაძე**, **იზაბელა ნადირაძე**.

დირექტორი ქალაქის მერის დავით ნარმანიას დევიზით ხელმძღვანელობს, რომ, თუ საძირკველი არ ჩაიყარა, კედელი როგორ აშენდებაო. ბავშვების ჯანმრთელობაზე ზრუნვა კი ჯანსაღი პროდუქტისგან მომზადებული საკვებით იწყება, „კვება უპირველეს ყოვლისაო“ და პატარებს უგემრიელესი საკვებით მზარეული **მედიკო ასპანიძე** და მისი დამხმარეები – **მთვარისა აფციაური** და **ნანა სეთური** უმასპინძლდებიან.

ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოდან თითქმის გამზადებული მენიუ მოდის. მშობელს შეუძლია ყოველდღიურად გაეცნოს თვალსაჩინო ადგილას გამოკრულ მენიუს და

გაიგოს, რით იკვებება მისი შვილი. სააგენტოდან ხშირად სტუმრობენ ცეროდენებს. ბატონმა **თემურ თორდინავამ** კარგად იცის, ვინ რითი სუნთქავს. ყველაფერი გაითვალისწინეს და სწორედ ამიტომ მიემატა ქალბატონი მაყვალას ღირსების ორდენს, დამსახურებული მასწავლებლის წოდებასა და სხვა ჯილდოებს კიდევ ერთი ჯილდო, „თბილისზე მზრუნველისა“.

ახალ სასწავლო წელს მომზადებულები შეხვდნენ – დაიგო მწვანე ბალახი, დაიდგა ახალი ატრაქციონი, სასრიალო, აიწონა-დაიწონა. ჯგუფებში შეიძინეს თოჯინები, კუბიკები, ასაწყობი სათამაშოები. ამ ყველაფერს კი მოვლა-პატრონობას არ აკლებენ დამლაგებლები – **ხათუნა ლომთათიძე**, **თეა ნადირაძე**, **თამილა გოძიშვილი**, **ფიქრია წილოსანი**, მებაღე – **ლევან გამბაროვი**, მუშა – **დავით ყეინაშვილი**; მრეცხავები – **ირინე სიხარულიძე**, **დარეჯან ჯაყელი**, **ანალი ბურჯანაძე**, დარაჯები – **ვახტანგ ქირია** და **ნელი ბირკაია**.

საინტერესო, ხალისიანი ცხოვრება გრძელდება – შემოდგომისა და საახალწლო ზეიმები ყველა ჯგუფში, დედის დღისადმი მიძღვნილი ლიტერატურული და გამოსაშვები საღამოები, სპარტაკიადა ღია ცის ქვეშ და ბევრი სხვა. ცდილობენ, ისე წარმართონ მუშაობა, რომ ყველაფერი საუკეთესო მისცენ ბავშვებს.

ბავშვები მაძლევენ სტიმულს ვიზრუნო ჩემს ქალაქზე. ძალიან მიყვარს ჩემი ხმაურიანი თბილისი, – ამბობს არამარტო პედაგოგი, არამედ პოეტი ქალბატონი მაყვალა. მე კი მინდა დავასრულო პატარა ნაწყვეტით მისივე ლექსიდან:

„ბავშვებთან თამაში მიყვარდა მუდამ,
ბავშვებთან თამაშს ახლაც კი ვნატრობ,
დარდი და ტკივილი არ იცის გულმა,
როდესაც ბავშვებთან ვთამაშობ მარტო“.

დაე, უფრო გაბრწყინდეს თბილისის 41-ე ბაგა-ბაღი!

ნათია გურგენიძე

თბილისის 161-ე საჯარო სკოლა – ევროპულ რელსებზე

აქ ნოვატორი დირექტორი და პედაგოგები მოღვაწეობენ

სახელოვანი 161-ე საჯარო სკოლა არა მარტო მოსწავლეთა რაოდენობით, არამედ სასწავლო-აღმზრდელობითი პოტენციალითაც ერთ-ერთი ყველაზე დიდი და მოწინავეა დედაქალაქში. წარმატების ფორმულა მარტივია: აქ ნოვატორი დირექტორი და ძლიერი პედაგოგები მოღვაწეობენ.

ვინ არ იცნობს გამოჩენილ პედაგოგს, ამ სკოლის დირექტორს ბატონ **მიხეილ მინდაძეს**. იგი საგანმანათლებლო სივრცეში მეტად პოპულარული სახეა. ამ სტატიის ავტორი, დამსახურებული პედაგოგი, მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ: ბატონი მიხეილი იმ პედაგოგიური პლეადის ღირსეული წევრია, რომელთა მხრებზე ახლაც დგას რეფორმების გზაზე მდგარი ქართული განათლების სისტემა. იმ პლეადის წარმომადგენლები კი იყვნენ და არიან გამოჩენილი სახალხო მასწავლებლები: **გრიგოლ კობახიძე**, **დავით გონდაური**, **ლევან ჩიქვანაია**, **კობა სუჯაშვილი**, **ვანო გიორგაძე**, **თემურ კიკნაძე**, **გურამ დევდარიანი**, **ოთარ თეთვაძე** და მრავალი სხვა. განათლების სისტემაში მოსულმა ახალმა თაობამ მინდა იცოდეს, თუ დღეს ვის მხარდამხარ მოღვაწეობენ. ამიტომ მსურს, უფრო ახლოს გავაცნო მათ ბატონი მიხეილის, ამ დიდი პროფესიონალის შემოქმედება.

მიხეილ მინდაძე თბილისის 51-ე სკოლისა და დედაუნივერსიტეტის აღზრდილია. ფიზიკის ჩინებული სპეციალისტი თავიდანვე ფიზიოლოგიის ინსტიტუტში და პარალელურად 166-ე სკოლაში პედაგოგად მუშაობდა. შემდეგ სახელოვანი გერმანული სკოლის დირექტორია. აფხაზეთის ომის მონაწილე მასწავლებელი განათლების სისტემაში ყველა სიახლის წამომწყები და რეალიზატორი იყო და არის. მუშაობდა განათლების სამმართველოს უფროსად. პირველად გახსნა დედაქალაქში 27-ე საავტორო სკოლა. განათლების სამინისტროში დიდხანს უძღვებოდა ერთ-ერთ დიდ სამმართველოს. ათი წელია 161-ე საჯარო სკოლას დიდი წარმატებით განაგებს. ამ ვრცელი შესავლის შემდეგ გთავაზობთ **მხიეილ მინდაძესთან** საუბრის მოკლე შინაარსს.

***

დედაქალაქის ეს პრესტიჟული სკოლა ორმოცი წლისაა. პირველი დირექტორი გახლდათ, ცნობილი პედაგოგი **გრიგოლ ონიანი**. შემდეგ სკოლას ხელმძღვანელობდა არანაკლებ სახელოვანი **ლონდა მებურიშვილი**, შემდეგ სახელი გაითქვეს **ჯუმბერ ცერცვაძემ**, **აკაკი ხუსკივაძემ**, ხოლო ბატონ **მიხეილ მინდაძეზე** ზემოთ უკვე ვისაუბრეთ.

ეს სკოლა თავიდანვე გამოირჩეოდა სწავლების მაღალი ხარისხით, საქმიანი, მშრომელი და შემოქმედებითი პედკოლექტივით, ნიჭიერი მოსწავლეებით. მრავალი ღვაწლმოსილი პედაგოგი ჰყავდა სკოლას, რომელთა ავტორიტეტი და სახელი იყო გავარდნილი. დავასახელებთ ზოგიერთ მათგანს. მაგალითად, შრომის პედაგოგმა, პოეტმა **ლეილა ბოჭორიშვილმა** პირველმა დანერგა სკოლაში თექის დამუშავების ტექნოლოგია.

სკოლის შემოქმედებით მუშაობაზე საუბრისას, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს ხის მხატვრული დამუშავების მუზეუმის დაარსება, სადაც ათასობით ექსპონატია შემონახული. ამ საქმეს ხელმძღვანელობდა ბატონი **ალექსანდრე კალანდაძე** დამსახურებული პედაგოგი და ღირსების ორდენის კავალერი.

სკოლის წარმატებას დიდად განაპირობებდა მაღალი დონის ღონისძიებები, კერძოდ, შეხვედრები გამოჩენილ ადამიანებთან, მწერლებთან, ხელოვნების მუშაკებთან, რაც უმეტეს შემთხვევაში, ტელევიზიით შუქდებოდა და ეს ძვირფასი გამოცდილება ყველას საკუთრება ხდებოდა.

სკოლამ მრავალი ღირსეული თაობა აღზარდა. ისინი დღეს მოღვაწეობენ სხვადასხვა მნიშვნელოვან საჯარო სამსახურში. ჩვენი სკოლის აღზრდილები არიან: ცნობილი პიანისტი **დავით ალადაშვილი**, პოეტი და მთარგმნელი, პროფესორი **ქეთევან ნიჟარაძე**, პროფესორი, ფილოლოგი **ქეთევან გოდერძიშვილი**. ცნობილი ტელეჟურნალისტები: **ზაალ უდუმაშვილი**, **მაია ასათიანი**, **მანიკა ასათიანი**, **ნათია აბრამია**, **ქეთევან ნუცუბიძე** და სხვა. პოლიტიკოსები: **ირაკლი ალასანია**, **ირაკლი ყანდიაშვილი**, **ანა კავლელიშვილი** და სხვა მრავალი.

ისეთი ძლიერი პედაგოგიური კადრები გვყავს, ბევრი სკოლა ინატრებდა. თითქმის ნახევარი, ე. ი. 60 პედაგოგი სერთიფიცირებულია, აქედან 1 წამყვანი **მაია თევდორაძე** და ორი 1000 ლარიანი ხელფასის მქონე პედაგოგი – **ნანა მეტრეველი** და **ნათია ნაფეტვარიძე** ნაყოფიერად მოღვაწეობენ. სწავლების მაღალი ხარისხი და საამაყო შედეგები პირდაპირ-პროპორციულია საგნობრივი კათედრების მოქნილი მუშაობისა. კათედრებს უნარიანად უძღვებიან გამოცდილი პედაგოგები: დაწყებითი განათლებისას – **ირმა ანდღულაძე**, მათემატიკისას – **ნატა ტრაპაიძე**, ქართულისას – **ნანა გომარელი**, უცხოური ენებისას – **ქეთევან მხეიძე**, საზოგადოებრივი მეცნიერებისას – **ნაზი დაჩიაშვილი**, საბუნებისმეტყველო მეცნიერებისას – **ნანა ამირანაშვილი**, ხელოვნებისას – **მაია კალანდარაშვილი**, სპორტისას – **ნინო ნინოშვილი**.

გასახარელია სწავლებაში მიღწეული გასული სასწავლო წლის შედეგები: სკოლამ გამოუშვა 13 ოქროს და 8 ვერცხლის მედალოსანი. ოქროს მედალოსნები არიან: **მარინა ჩოჩიშვილი**, **ქეთევან აფციაური**, **გურამ ღლონტი**, **საბა ხომერიკი**, **ნატო თუშიშვილი**, **ანანო მაისურაძე**, **ნინო მუმლაძე**, **ლუკა სეფაშვილი**, **თათია ბუკია**, **ანა-მარია კვაჭაძე**, **მარიამ ორჯონიკიძე**, **მარიამ ჯანგირაშვილი**,

ვერცხლის მედალოსნები არიან: **ელენე ჭაჭუა**, **ნიკა ასათიანი**, **ნინო თუშიშვილი**, **მარიამ შენგელია**, **მარიამ ჩოხელი**, **ანა დავლაშერიძე**, **რუსუდან ორჯონიკიძე**, **თამარ ყიფიანი**.

100%-იანი გრანტით სტუდენტები გახდნენ: **ანა ხუნწარია**, **მარინა ჩოჩიშვილი**, **ლუკა სეფაშვილი**, **ნინო მუმლაძე**, **მარიამ ჩოხელი**, **ანანო მაისურაძე**, **ანა-მარიამ კვაჭაძე**, **ნინო ალექსანდრია**, **ქეთევან აფციაური**, **გურამ ღლონტი**.

აქტიურია მოსწავლეთა ჩართულობა სხვადასხვა სასწავლო-შემოქმედებით ღონისძიებებში. ოლიმპიადაში გამარჯვებულნი გასულ სასწავლო წელს გამოვლინდნენ: **ანა ხუნწარია** - ქართული ენა (მანანა **რამიშვილი**), რუსული ენა (ჟუჟუნა **ენუქიძე**), **ანანო მაისურაძე** - ქართული ენა (მაია **ფანჩულიძე**).

საინტერესოდაა გაშლილი საწრეო მუშაობა. სკოლაში არსებობს წრეები: **ქართული ენა**, **ბიოლოგია**, **ქიმია**, **ფიზიკა**, **მათემატიკა**, **რუსული ენა**, **გეოგრაფია**, **ისტორია**, **ჭადრაკი**, **ხელოვნება**. გამოცდილი პედაგოგების ხელმძღვანელობით ამ წრეების საქმიანობა მეტად მიმზიდველი და ნაყოფიერია.

დღეს სკოლის ინფრასტრუქტურა მოწესრიგებულია და ევროსტანდარტებს უახლოვდება.

ამ დიდ საქვეყნო საქმეში დირექტორს მხარში აქტიურად უდგანან გამოცდილი მოადგილეები, შემოქმედი პედაგოგები: **ნანა ტაბიძე**, **ნათელა წულაია** და **როზა კაკულია**.

სადაც ასეთი თანამშრომლობაა, გამარჯვებაც იქ არის.

ბორის მიშველაძე,
პედაგოგიკის დოქტორი

ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲓᲘᲓᲘ ᲑᲐᲒᲐ-ᲑᲐᲦᲘ №100

ᲪᲔᲠᲝᲓᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲖᲚᲕᲐ ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘᲡ ᲐᲜᲘᲭᲔᲑᲘᲡ

განსაკუთრებული სიყვარულით ვწერთ თბილისის ერთ-ერთი გამორჩეული მე-100 ბაგა-ბაღზე, რომელიც ყველაზე დიდია დედაქალაქში.

შედიხარ და გულს უხარია ჩინებულ განწყობაზე დგები. თუ შიგნითაც შევიხედავთ კიდევ უკეთესია. აქ ყველგან ზღაპრიდან გადმოსული პერსონაჟები დადიან. ოპტიმიზაციის შედეგად მე-100 ბაგა-ბაღის ბაზაზე გაერთიანდა 3 ბაგა-ბაღი. აღსაზრდელთა რაოდენობამ აქ 900-ს გადააჭარბა. ამ ბაგა-ბაღის კოლექტივის სასახელოდ უნდა ითქვას, ამ სასწავლო წელს სკოლაში 300 ცეროდენა გაუშვეს.

დირექტორი გახლავთ უაღრესად განათლებული, ერუდირებული, გულისხმიერი და ბავშვებზე დედასავით შეყვარებული ქ-ნი **მეგი მარღანია**. იგი აფხაზეთიდან დევნილია. წარჩინებით დაამთავრა თსუ სოხუმის ფილიალის ფილოლოგიის ფაკულტეტი ინგლისური ენის სპეციალობით, შემდეგ კი დედაუნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტი და მიენიჭა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მაგისტრის აკადემიური ხარისხი.

მალე 12 წელი სრულდება, რაც წარმატებით უძღვება მე-100 ბაგა-ბაღს. ახალგაზრდა, სათნო და გულისხმიერი ხელმძღვანელი შეიყვარეს პატარებმა, მშობლებმა, თანამშრომლებმა. ერთგულად უდგანან მხარში ღვაწლმოსილი და გამოცდილი პედაგოგები: მოადგილე – **თამარ ჭათაშვილი**, საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორები – **ნანული ჟღენტი** და **ნატალია მესტიაშვილი**. მუსიკის პედაგოგები: **ლეილა მაჩაიძე**, **ცისანა გრიგოლია** და **გენრიეტა ზაქარიაძე**. ფსიქოლოგი – **ბელა ჯოხაძე**, სპეც. პედაგოგი – **ლეილა ებანოიძე**. ლოგოპედი – **ეკატერინე სამუშია** და ძლიერი აღმზრდელებისა და მათი თანაშემწეების მთელი არმია. დიდია თითოეული აღმზრდელის აღსაზრდელებისადმი გაღებული ენერგიის, შრომის, სიყვარულის და სითბოს ფასი.

ბაგა-ბაღის გაძლიერება-კეთილდღეობაში დიდი წვლილი შეაქვთ სამეურნეო ნაწილის კოორდინატორებს: **ზაზა ხელაიასა** და **ელისო ბუკიას**, ჯანმრთელობისა და ჰიგიენური უზრუნველყოფის კოორდინატორებს: **თამარ გოგმეჩაძეს** და **მარიამ სავორაძეს**.

მარინე სვანიშვილის, **ეკა ბაზარაშვილის**, **იზო პოპიაშვილის** და მათი დამხმარეების: **ნატალია ესართიას**, **ნანული ბერულავას** და **იანა ტურაშვილის** მიერ გაკეთებული კერძები ძალიან უყვართ ცუგრუმელებს. ბოლო დროს ბავშვთა კვება კიდევ უფრო მრავალფეროვანი და ჯანსაღი გახდა.

მეგი მარღანია თანამშრომლებთან ერთად კმაყოფილია და მადლიერების გრძნობას გამოხატავს ქალაქის მერის, ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს კოორდინატორის — ბატონ **თემურ თორდინავას** და ასევე, მერიის სხვა სამსახურების მიმართ.

მერიის მხარდაჭერით მე-100 ბაგა-ბაღში გამოიცვალა ღობე თანამედროვე სტანდარტებით. მოეწყო ეზოში მშვენიერი სათამაშო მოედანი, დაირგო 150 ძირი ნორჩი წიწვოვანი ხე. გაკეთდა შენობის შიდა რემონტი. შემოიტანეს ახალი ინვენტარი, როგორც საბავშვო, ასევე, საოფისე. მოეწყო ადაპტირებული შესასვლელი შეზღუდული შესაძლებლობების აღსაზრდელებისათვის. უსაფრთხოების გაუმჯობესების მიზნით დამონტაჟდა სათვალთვალო კამერები. გაკეთდა ბიბლიოთეკა. თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით მერია უზრუნველყოფს ბაგა-ბაღის მეთოდისტებს, ფსიქოლოგებს და ლოგოპედებს სპეციალური დამხმარე ლიტერატურით. ჯანმრთელობისა და ჰიგიენური უზრუნველყოფის მიზნით სულ ეხლახან ბაგა-ბაღის მომსახურე პერსონალს დაემატა ახალი თანამშრომლები, კერძოდ, მრეცხავები.

მე-100 ბაგა-ბაღში, აქტიურად მიმდინარეობს აღმზრდელ-პედაგოგების ყოველდღიური შემოქმედებითი მუშაობა. უპირატესობა ყოველთვის ენიჭება შემეცნებითი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას, ნიჭიერი ბავშვების გამოვლენას და მათთვის სწორი ორიენტირების დასახვას. ტარდება საინტერესო ღონისძიებები, რაშიც ბაგა-ბაღის ყველა აღსაზრდელი ხალისით მონაწილეობს. ასეთებია: „თბილისობა“, შობა-ახალი წლის დღესასწაული, საგაზაფხულო პრეზენტაციები და ღია მეცადინეობები, რომლებითაც გასული თვეების ანგარიშს აბარებენ მშობლებს. მუდამ ტარდება ბავშვთა დაცვის დღისადმი მიძღვნილი 1 ივნისის ღონისძიება. სასწავლო წლის დამაგვირგვინებელ ღონისძიებას კი წარმოადგენს გამოშვების ზეიმი, რომელშიც დიდი ხალისით მონაწილეობს ყველა სკოლაში წამსვლელი ბავშვი.

ახალი წარმატებები მინდა ვუსურვო ამ მრავალრიცხოვან შრომისმოყვარე და შემოქმედებით კოლექტივს. ყველაზე დიდი სურვილია: ქალბატონი მეგი ახლო მომავალში აფხაზეთში მშობლიურ კერას დაბრუნებოდეს.

ᲘᲜᲕᲔᲠ ᲛᲔᲡᲮᲘᲐ

თბილისის 167-ე ბაგა- ბაღში პატარებისათვის ყველანაირი პირობაა შექმნილი, რათა თავი ოჯახურ გარემოში იგრძნონ და ამიტომაც არის, რომ, ცუგრუმელებს აქ ყოველ დილით მიუხარიათ. ბაღის ეზო გამწვანებული და მოპირკეთებულია, დამონტაჟებულია სხვადასხვა ატრაქციონები. ამჟამად კი, ბაღების მართვის სააგენტოს დახმარებით, მიმდინარეობს ღობის შეკეთება.

ბაგა-ბაღში შესვლისთანავე იგრძნობა სისუფთავე და წესრიგი. დერეფნები და ოთახები მორთულია სხვადასხვა

თვალსაჩინოებებით, პატარებისა და მათი აღმზრდელების ერთობლივი ნამუშევრებით. ინფრასტრუქტურა აბსოლუტურად მოწესრიგებულია, დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობა და თბილი წყლის სისტემა. ბაღი აღჭურვილია თანამედროვე ინვენტარით და საბავშვო ლიტერატურით.

167-ე ბაგა ბაღს სათავეში უდგას ახალგაზრდა ქალბატონი და თავისი საქმის პროფესიონალი, კეთილშობილი პიროვნება **თვალმაისა გოგოხია.** იგი, პროფესიით ექიმია და ცოტა ხნით იმუშავა კიდეც თავისი სპეციალობით, მაგრამ ბავშვების სიყვარულმა გადასძლია და უკვე, ექვსი წელიწადია მშვენივრად ეწევა ბაღის ხელმძღვანელობას. მისი მოსვლის დღიდან, აქ მართლაც, ბევრი რამ გაკეთდა, გარემონტდა შენობის ფლიგელი და სისტემატურად მიმდინარეობს განახლებითი სამუშაოები. ბაღს დაემატა ჯგუფები, იყო 9 და ამჟამად 133 გახდა. ხოლო 10 (3-6 წლიანების) ჯგუფია. ბაღი აქტიურადაა ჩართული **„სასკოლო მზაობის პროგრამაში“**. შარშან, 115 აღსაზრდელმა დაამთავრა ბაღი, რომლებიც სკოლისთვის კარგად იყვნენ მომზადებულები და მადლობაც დაიმსახურეს. მათ დიდი ზეიმით გზა დაულოცეს პირველი კლასისკენ.

თვალმაისა გოგოხია: ძალიან ნიჭიერი და გონიერი ბავშვები გვყავს. ისინი თამაშ-თამაშით და თვალსაჩინოებებით სწავლობენ წერას, კითხვას, ამიტომაც, სკოლაში უკვე მომზადებულები მიდიან. გვყავს შესანიშნავი აღმზრდელები, რომლებიც დედასავით მზრუნველობენ პატარებზე და არ აკლებენ მათ ყურადღებას. ჩვენთან ხშირად ტარდება შემოქმედებითი ღონისძიებები და ღია მეცადინეობები. პედაგოგებთან ერთად იმართება „თოჯინების თეატრი“ და „მხიარული სტარტები“.

დირექტორს მხარში საიმედოდ უდგანან: მისი მოადგილე **დიანა ბასილაია**, საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორი **ნინო სურგულაძე**, საქმის მწარმოებელი **მარინე ლომიძე**, სამეურნეო ნაწილის კოორდინატორი **ნატო ტაბაღუა** და სხვები. განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია ფსიქოლოგის **დალი ჩხაიძის**, ჯანმრთელობისა და ჰიგიენის კოორდინატორის **მაკა ზარიძის** და ლოგოპედის **თინათინ ნემსაძის** საქმიანობა. ცუგრუმელებს გემრიელ კერძებს უმზადებენ გამოცდილი მზარეულები: **ვარია მარკოსიანი**, **ლიანა აქუბარდია** და **სოფიო კანდელაკი**.

ბაღის ყველა ზეიმისა და დღესასწაულის სულისჩამდგმელები არიან მუსიკის მასწავლებლები: **ეკატერინე** და **სოფიო ბექაურები**. ისენი აყვარებენ ბავშვებს მუსიკალურ ხელოვნებას.

პატარებზე დედასავით მზრუნველობენ და მათ ცხოვრებას ახალისებენ გამოცდილი აღმზრდელები. ესენი

გამარჯობათ, 167-ე ბაგა-ბაღის ცეროდენებო!

აქ მუდამ მზე და სიყვარულია

არიან: **თამარა მეხაშიშვილი**, **ანნა ექვთიმიშვილი**, **თამარ ფოცხვერაშვილი**, **გაიანე გრიგორიანი**, **ნაია ჯიშიაშვილი**, **მაია ბოჭორიშვილი**, **მაკა გელაშვილი**, **რუსუდან გოგოხია**, **მაკა ცუხიშვილი**, **ლია ხუბაშვილი**, **ეთერი დობორჯგინიძე**, **მარიამ დარახველიძე**, **ნიაზი დავლიანიძე**, **მარინე თამაზაშვილი**, **მედეა ხაჩატუროვი**, **ნინელი სხირტლაძე**, **ხათუნა გოგილიძე**, **ნათია ქადაგიშვილი**, **თამარ წიკლაური**, **ნათია გიორგაძე**, **ეკა ჩეხერია**, **სოფიო ბერძენიძე**, **ხათუნა დურგლიშვილი**, **თეა სარდლიშვილი**, **ქეთინო მახარაშვილი** და **ნინო ნეფარიძე**.

ქებას იმსახურებენ აღმზრდელის თანაშემწეები: **მზია ეგრისელაშვილი**, **ელა მარკოსიანი**, **ნატო ალადაშვილი**, **ლელა გელაშვილი**, **სოფიო მაზიაშვილი**, **ნაზი მახარაშვილი**, **მედეა ხარატიშვილი**, **სუზანა ოგანესიანი**, **ნანა გაჩეჩილაძე**, **ლალი კახნიაშვილი**, **ეკატერინე კუსიანი**, **ნინო ბეგლარაშვილი**, **ია ხარტონიშვილი** და **ლელა ბერიძე**.

დირექტორი მაღალ შეფასებას აძლევს ტექნიკური პერსონალის საქმიანობას, რომელთა დიდი ძალისხმევით ბაღში წესრიგი და სისუფთავეა. ესენი არიან: **ლალი მუმლაძე**, **რიმა გაგნიძე**, **ეგუშ ქევხიშვილი**, **მარიამ შაქარაშვილი**, **თინა კაპანაძე**, **ნინო ჭამაშვილი**, **ნატო ქველაძე**, **მარიკა ბათილაშვილი**, **ლიანა ლეჟავა**, **ტელმან ვარაზაშვილი**, **დავით მუხიაშვილი**, **ენრი ალანია**, **ნანა ვაშაკიძე** და **ჟანა გედენიძე**.

სასიხარულოა, რომ ბაგა-ბაღის თანამშრომლები ერთ გუნდად არიან შეკრულნი, აქ მუდამ, მეგობრული გარემოა შექმნილი, სიყვარული და სითბო სუფევს. ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც ის არის, რომ პატარები თავს კომფორტულად გრძნობენ და მშობლებიც კმაყოფილნი არიან.

მზია გოგოძე

რაშია მისი წარმატების საიდუმლო?

პერძო სკოლა „სანთელი“ სიმაღლეებს იპყრობს

სკოლა-ლიცეუმი „სანთელი“ თბილისში, ისან-სამგორის რაიონში, ორხევის დასახლებაში მდებარეობს. მის პერიფერიულ მდებარეობას რა მნიშვნელობა აქვს. სასწავლებელი მაღალ შედეგებზეა ორიენტირებული და აქ ყველანაირი პირობაა შექმნილი იმისათვის, რომ მოსწავლეებმა თავი კომფორტულად და დაცულად იგრძნონ. რაც მთავარია,

პედაგოგები ენერგიას არ იშურებენ სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად. სკოლას ამშვენებს მოწესრიგებული და ყვავილებით მორთული ეზო, აქვეა, კალათბურთისა და ფეხბურთის მოედანი, ტენისის სათამაშო მაგიდა, დიდი დარბაზი და სხვა. სკოლის ტერიტორია კონტროლდება ვიდეო-კამერებით, შენობა ორსართულიანია და კეთილმოწყობილი, დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობა, ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა, რომელიც აღჭურვილია სხვადასხვა ლიტერატურით, კომპიუტერითა და ინტერნეტით. დერეფნები და სასწავლო ოთახები გაფორმებულია სხვადასხვა თვალსაჩინოებებით, ბავშვების ნახატებითა და კედლის გაზეთებით. სკოლაში დამონტაჟებულია პანდუსები და ერთი სიტყვით, აქაურობას, მართლაც ეტყობა კარგი პატრონის ხელი.

სკოლა-ლიცეუმ „სანთელის“ დევიზია: „ჯანსაღი თაობის აღზრდა“ და იგი, უკვე ოცი წელიწადია, ღირსეულად უძღვება ამ საპატიო მისიას. სკოლა 1996 წელს დააარსა ღვაწლმოსილმა პედაგოგმა, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორმა **ვასილ ჯანიაშვილმა**, რომელიც დღემდე ხელმძღვანელობს მას. ბატონი ვასილი 45 წელიწადია პედაგოგიურ საქმიანობას ეწევა და წლების მანძილზე განათლების სფეროში სხვადასხვა თანამდებობაზე მუშაობდა

ბატონი ვასილი ძალ-ღონეს არ იშურებს იმისათვის, რათა ლიცეუმი იყოს ერთ-ერთი წარმატებული სასწავლო დაწესებულება. მას თითოეულ ლიციანტთან განსაკუთრებულად თბილი და მეგობრული დამოკიდებულება აქვს. იგი, განსაკუთრებულ შეღავათს უწევს მრავალშვილიან, სოციალურად დაუცველ და პედაგოგის შვილებს.

ვასილ ჯანიაშვილი: – ჩვენს სკოლაში სწავლების ხარისხი უფრო მაღალია, ვიდრე მისი შესატყვისი ფასი. გადასახადი სულ 800-დან 1000 ლარამდეა. უნდა გითხრათ, რომ მიზანმიმართულობა და ენთუზიაზმი ახასიათებს აქ მომუშავე თითოეულ თანამშრომელს. ყველა პედაგოგი მაღალი დონის სპეციალისტია და უმრავლესობა სერთიფიცირებულია. მოსწავლეები აქ სრულყოფილ ცოდნას იღებენ და მათ უკვე რეპეტიტორი აღარ სჭირდებათ. სკოლა-ლიცეუმში 9 კლასია. ამჟამად, აქ 68 მოსწავლეა და თითოეულ კლასში სულ 7-8 მოწაფეა. სწორედ, ბავშვების სიმცირე იზიდავს აქ ყველას, რადგან მოსწავლეები მაქსიმალურად ახდენენ ცოდნის ათვისება-რეალიზებას. ჩვენი პედაგოგები, სასწავლო წლის კონკრეტული, სამუშაო გეგმით ხელმძღვანელობენ, რაც ითვალისწინებს საგნობრივი კვირეულის მოწყობას, შიდა სასკოლო ოლიმპიადების, შემოქმედებითი კონფერენციების, ვიქტორინების და ექსკურსიების მოწყობას.

განათლების სამინისტროს რეკომენდაციით, ჩვენ მოსწავლეებს ვაცნობთ ახლომდებარე საწარმოების საქმიანობას. სკოლაში მუშაობს 9 სერთიფიცირებული მასწავლებელი. ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, სკოლაში ფუნქციონირებს 5 საგნობრივი კათედრა, რომლებსაც ხელმძღვანელობენ მაღალკვალიფიციური პედაგოგები: **ანა წურწუმია**, **თინათინ დუშაშვილი**, **მარინა ნადარაია**, **ხათუნა ფაჩულია**, **თინათინ ბუაძე**, კათედრების მუშაობა ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ოპტიმიზაციას, სწავლების ხარისხის ამაღლებას. სკოლაში სულ 17 პედაგოგია. გაგაცნობთ მათ: **თინათინ ბუაძე, მადონა ფანჯარაშვილი, ხათუნა მძელური, მარი მღებრიშვილი, ანა წურწუმია, მანანა ჩიკვაიძე, ხათუნა ფაჩულია, თინათინ დუშაშვილი, თამარ ფუხაშვილი, ლიანა კუხალაშვილი, ციცი რუაძე, მეგი ტაბატაძე, ლელა ტუღუში ლალი თორდია, სოფია ლომიძე** და **ნანა გოგოლაშვილი**.

სკოლა-ლიცეუმში, აქტიურად ტარდება სპორტული შეჯიბრებები: ფრენბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, კალათბურთში, ჭადრაკში და ა. შ. მოსწავლეები მონაწილეობენ **„კინგსის“** და **„სმარტ კომპეტინშენის“** ოლიმპიადებში, საიდანაც დაჯილდოებულები ქების სიგელებით ბრუნდებიან. ჩვენი საამაყო მოსწავლეები არიან: **ანი კერატიშვილი, მარინე ხაჭიპერაძე, ვასილ ჯანიაშვილი, ლიზი ნაგაიცევი, ელენე ქორიძე, თამარა კოლომეეცი, გიორგი გოგიშვილი, ბექა ყველაშვილი, სოფია კოლომეეცი, ანი ცხვიტარია, მარიამ ხარატიშვილი** და **ნინი ცხვიტარია.**

სკოლა-ლიცეუმის წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვის დირექტორის მოადგილეს **დალი ჯანიაშვილს**. იგი ბატონი ვასოს მეუღლეა და მუდამ გვერდში უდგას მას. ასევე, დადებით შეფასებას იმსახურებს საქმის მწარმოებლის **მარინა ნადარაიას** და ფინანსური მენეჯერის **ირინე ჯანიაშვილის**, ბიბლიოთეკარის **ნანა ბესტავაშვილის**, მედდის **ნათია რაზმაძის** და ტექპერსონალის საქმიანობა. მართლაც, ენთუზიაზმით და შემოქმედებით მუსაობენ.

აღსანიშნავია, რომ სკოლა-ლიცეუმში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, გახანგრძლივებული ჯგუფი და მშობელთა კომიტეტი. აღნიშნული კომიტეტის აქტიური წევრებიდან, რომლებიც სკოლას გვერდში უდგანან, დაგისახელებთ შემდეგს: **ლალი ხოდელს**, **მზევინარ გიგაურს**, **კახაბერ კუბლაშვილს**, **ირმა ციხელაშვილს**, **ხათუნა წიკლაურს**, **თამარ ობოლაშვილს**, **ნინო სინჯიკაშვილს**, **თეა დოლიძეს**, **ანა სახლთხუციშვილს**, **მზია მარშანიას**, **ეკა გამჯაშვილს**, **ნანა გოგოლაძეს**, **მარიეტა გევორქიანს**, **ლიანა მესხს**, **ელენე მამნიაშვილს**, **მირანდა მაჭარაშვილს** და სხვებს. ასე, რომ სკოლა-ლიცეუმში ყველანაირი პირობაა შექმნილი იმისათვის, რომ მოსწავლეებმა შესაბამისი ცოდნა და განათლება მიიღონ. სამომავლოდ კი, სკოლის ბაზაზე საბავშვო ბაღის გახსნაა დაგეგმილი. ბატონ დირექტორს ვუსურვებთ ყველა ჩანაფიქრის „ფრიადზე“ შესრულებას.

მზია გოგოძე

 თბილისის 113-ე საჯარო სკოლა

ტრადიციას ინოვაციებით ამდიდრებენ

„შეუქმნას თითოეულ მოსწავლეს უსაფრთხო და მზრუნველი გარემო, იზრუნოს არამარტო მაღალ აკადემიურ მაჩვენებელზე, არამედ განუვითაროს პრობლემების დამოუკიდებლად გადაჭრის უნარი, ასწავლოს მათ განსხვავებული აზრის პატივისცემა, ხელი შეუწყოს, შეითვისოს და საკუთარი ქვეყნის საკეთილდღეოდ გამოიყენოს დასავლური ღირებულებები და ფასეულობები“-აი, ასეთია ძირითადი მისია, თბილისის 113-ე საჯარო სკოლისა, რომელიც ერთ-ერთი ტრადიციული სასწავლო დაწესებულებაა და უკვე საუკუნეა რაც არსებობს. სულ მალე,სკოლის თვითმმართველობის ინიციატივითა და თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილებით, 113-ე სკოლას **ცოტნე დადიანის** სახელი მიენიჭება.

სკოლას სათავეში უდგას გამოცდილი პედაგოგი და ენერგიული ქალბატონი **ლია გაბინაშვილი**. იგი სამი წელიწადია დირექტორია და ამ ხნის მანძილზე, მართლაც ბევრი რამ გააკეთა. სკოლაში მოწესრიგდა ინფრასტრუქტურა, სველი წერტილები, სასწავლო ოთახები და დერეფნები, რეაბილიტაცია ჩაუტარდა ბიბლიოთეკას და კომპიუტერების ოთახს, გაიხსნა ქართული ენის კაბინეტი, ბუფეტი, სამედიცინო და ასევე, რესურს ოთახი – სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის. სკოლაში, მოსწავლეთა საჭიროებიდან გამომდინარე, შემოიღეს დიფერენცირებული სწავლება. ასევე, დაემატა ჭადრაკის გაკვეთილები და ახალი საგანი: მეწარმეობის საფუძვლები და კრეატიული სწავლების მეთოდები სამეწარმეო განვითარებაში, რომლის პედაგოგი გახლავთ დირექტორის მარჯვენა ხელი და მისი მოადგილე **ირმა მაისურაძე**.

ერთი სიტყვით, სკოლას ეტყობა კარგი მმართველის ხელი.

ლია გაბინაშვილი არის არამარტო წარმატებულ მენეჯერი, არამედ კარგი პედაგოგიც. იგი, ამავე სკოლის მათემატიკის მასწავლებელიც არის. მანამადე თბილისის 117-ე სკოლაში ასწავლიდა ამ საგანს. წარსულში კი პრესის მუშაკი იყო, ჩვენი კოლეგა, მუშაობდა მერიის პრესსამსახურში. ქალბატონი ლია ბავშვობიდანვე სიბეჯითით გამოირჩეოდა. მან კომაროვის სახელობის მათემატიკური სკოლის წარმატებით დამთავრების შემდეგ, სწავლა განაგრძო დედაუნივერსიტეტში – კიბერნეტიკისა და გამოყენებითი მათემატიკის ფაკულტეტზე, შემდეგ, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე – ჟურნალისტიკის სპეციალობაზე; ასევე, დამთავრებული აქვს ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტის ინგლისური ენა და ლიტერატურის ფაკულტეტი. ქალბატონ ლიას ძალიან უყვარს სკოლა და ამიტომაც, ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ბავშვებმა თავი კომფორტულად იგრძნონ და შესაბამისი ცოდნა მიიღონ. მუდამ სიახლეების ძიებაშია და სკოლის ტრადიციებს ინოვაციით ამდიდრებს.

ლია გაბინაშვილი: მართალია, დიდი სკოლების გარემოცვაში ვიმყოფებით (გარშემო 4 სკოლაა) და არის კონკურენტული გარემო, მაგრამ ჩვენს სასწავლო დაწესებულებას თავისი ხიბლი და ,,ნიშა'' აქვს, რითაც იზიდავს მოსწავლეებს და მშობლებს.

დირექტორის თქმით, 113-ე სკოლა სხვა სასწავლებელთაგან გამორჩეულია ინტელექტუალური ძალების სიმრავლით, ნლების მანძილზე, მოსწავლეების მიერ მიღებული სიგელები და სხვა წარმატებები ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. სკოლის კურსდამთავრებულები მუდამ გამოირჩეოდნენ აქტიურობით – ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. აქაურ მესვეურებს ეამაყებათ, რომ მათი კურსდამთავრებული – **ბექა საღინაძე**, რაგბის მსოფლიო ჩემპიონია.

მართალია, 113-ე სკოლა, თავისი მოცულობით პატარაა და აქ სულ 361 ბავშვია, მაგრამ სწავლის ხარისხით, იგი სხვებს არ ჩამოუვარდება. სასიხარულოა ის ფაქტი, რომ აქაური კურსდამთავრებულები რეპეტიტორების დახმარების გარეშე აბარებენ სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში.

სკოლისთვის ნაყოფიერი იყო გასული სასწავლო წელი, რადგან შვიდი მოსწავლე: **მარიამ ოთარაშვილი, ვერა კვირკველია, ანზორ ჯოხაძე, ანი ბაწელაშვილი, დიმიტრი მეცხვარიშვილი** და **თემურ მემარნიშვილი** წარმატებით ჩაირიცხნენ სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში, ხოლო **ხათუნა საჩალელმა** ას პროცენტიანი დაფინანსება მოიპოვა.

113-ე სკოლაში სისტემატურად იმართება სხვადასხვა შემოქმედებითი ღონისძიებები, იდგმება სპექტაკლები, სადაც მე-10 კლასის მოსწავლეები მონაწილეობენ (დამრიგებელი – **მარიამ სიმონია**). უკვე, მესამე წელიწადია, გაზაფხულის მოახლოებასთან ერთად, 9 აპრილს გრანდიოზული ღონისძიება იმართება და სკოლა ირთვება ფერად-ფერადი ვიოლებით და ეზოში ყვავილებით წერენ სკოლის ნომერს. **ჯემალ სეფაშვილის** სიმღერის („ვაჩუქოთ ერთმანეთს ტიტები''-ის) ფონზე ანთებენ სანთლებს და დაღუპულებს მოიხსენიებენ.

აღსანიშნავია, რომ 113-ე საჯარო სკოლაში ყოველთვის მოღვაწეობდა პედაგოგთა ძლიერი გუნდი. ისინი გამოირჩეოდნენ პრინციპულობითა და საგნის უზადო ცოდნით, აღსაზრდელებთან სანიმუშო ურთიერთობით. საუკუნის საფუძველჩაყრილი ტრადიცია კვლავაც გრძელდება. აქ დღესაც მაღალკვალიფიციური პედაგოგები ასწავლიან, თანაბრად არის დაცული ასაკობრივი ბალანსი და მასწავლებელთა უმეტესობა სერთიფიცირებულია. სულ 29 პედაგოგია, 6 კათედრაა. გაგაცნობთ კათედრის ხელმძღვანელებს: მათემატიკისა – **გურანდა ქარდავა**, საზოგადოებრივისა – **მზია სურმავა**, უცხო ენებისა – **ნათია ბედოიძე,** საბუნებისმეტყველოსი – **ვიოლეტა ქუთათელაზე**, სპორტისა და ესთეტიკისა – **ეკატერინე ელისაშვილი**, დაწყებითებისა – **მაყვალა გოჩიაშვილი**, ქალბატონი მაყვალა დიდი სიყვარულითა და ავტორიტეტით სარგებლობს კოლექტივში, მშობლებში. მრავალი თაობის აღმზრდელია, დედასავით ზრუნავს ცეროდენებზე.

დირექტორი მაღალ შეფასებას აძლევს თითოეული პედაგოგის საქმიანობას. სკოლა მაღალ შედეგებზეა ორიენტირებული. აქ, მთელი კოლექტივი ერთ გუნდად არის შეკრული და ძალ-ღონეს არ იშურებენ იმისთვის, რომ ღირსეული, განათლებული და თავისუფალი მოქალაქეები აღუზარდონ ქვეყანას.

მზია გოგოძე

სიტყვა კოლეგაზე

ბატონო ბონდო, პარლამენტისთვის არ „მემეტებოდით“

არც იმან, რომ **ბონდო მძინარაშვილი** ბრწყინვალე ჟურნალისტია, არც იმან, რომ მოქარგული ენის პატრონია, არც იმან, რომ „ტვ-ობიექტივის“ შემოქმედი რედაქტორია, არამედ, სხვა რამემ ამაღებინა ხელში კალამი. თუმცა ზემოთჩამოთვლილიც საკმარისი იყო, მასზე გულთბილი სტატია დამეწერა. რა არის ეს სხვა რამე? „მომაპყარნით ყურნი ეგე თქვენი სასმენელნი და მანსპინძელ ექმენით ამა სიტყუასა ჩემსა“.

გამოსაშვებ კლასში, რომლის დამრიგებელი თავად გახლდით, მყავდა გამორჩეულად ნიჭიერი, ბეჯითი, ფრიადოსანი მოსწავლე, (ამ სტრიქონების ავტორი დამსახურებული პედაგოგია). ეს ბიჭი რა თქმა უნდა, ძალიან მიყვარდა. მზრუნველობას არ ვაკლებდი, დამატებით ვამეცადინებდი, კონსულტაციებს ვუტარებდი, მისი მშობლები და თავადაც, ჩემს მიმართ მლიქვნელობის კლასიკურ ილეთებს მიმართავდნენ. ბიჭმა მედალი აიღო, უმაღლესშიაც მოეწყო. როგორც კი თავისი გაინაღდა, ვის დაკარგვიხარ, მასწავლებელო! ისე ამივლ-ჩამივლიდნენ, თითქოს არც მიცნობდნენ, განზე გაიხედავდნენ ხოლმე. გულში რაღაც ჩამწყდა. გულმტკივანი დავდივარ და ვფიქრობ: საიდან დაისადგურა ასეთმა გულგრილობამ, სიკეთის არდანახვა-არდაფასებამ. დღეს იაკობ გოგებაშვილის ტოლა პედაგოგიც რომ იყო, კაციშვილი არ არის შენი ამაგის დამნახავ-დამფასებელი. დღეს საზოგადოების თვალში მასწავლებელი ყველაზე დაბალი ღობეა. დღეს, ვისაც არ ეზარება, მასწავლებელზე აუგს თუ იტყვის, თორემ ერთი თბილი სიტყვა არ წამოსცდება. უმადურობის მსახვრალი ხელი ადამიანურ ღირებულებებს მოსპობას უპირებს. „გაგვიბატონდა მგოსანი, სირეგვნე გაუგონარი“. რატომ? რატომ? ღმერთო, მომეც ამის პასუხი!

ჰოდა, ამ დროს, რა თქმა უნდა, არჩევნებამდე, ბატონ ბონდოს მიჰყავდა გადაცემა: ო, რა გულთბილად, რა სიყვარულით გვესაუბრა ქარელის პედაგოგებზე, მშობლიური სკოლის მასწავლებლებზე. ჩემს უმადურობისგან ატკივებულ გულს მალამოდ მოეცხო მისი სიტყვები. არც სხვა კეთილისმყოფლები დავიწყებია, ვინც კი გამამხნევებელი ხელი ერთხელ მაინც მოუთათუნა მხრებზე, კეთილი სიტყვა შეაწია. მათ შორის, აწგანსვენებული ჟურნალისტი **ნათელა ფაილოძეც** მოწიწებით ახსენა. როგორც ჟურნალისტი, ჩვენს თვალწინ ზღაპრული ამირანივით გაიზარდა ბატონი ბონდო, „ერთი კვირისა ერთი თვისას ჰგავდა, ერთი თვისა – ერთი წლისას“...

დღეს იგი ბრწყინვალე ჟურნალისტი და რედაქტორია. ხოლო მედიასივრცეში გამორჩეულია მისი „ობიექტივი“, რომლის პოპულარობაში ლომის წილი უდევს ბატონ ბონდოს. ამაოდ ტრაბახობენ „რუსთავი-2“-ელები.

ჩემი კეთილი სურვილია, „ობიექტივში“ უფრო გაძლიერდეს პატრიოტული მუხტი. ნათქვამია, კაცს ყოველდღე ინდაურის საცივიც მობეზრდებაო. არც ისე სასიამოვნოა დღეში ხუთჯერ ვახუშტის ლექსის მოსმენა. იქნებ აბუთიძის უცხოური არიის გვერდით ზოგჯერ ზურაბ ანჯაფარიძის „სიმღერა თბილისზე“ მოვისმინოთ, ასევე ფილმიდან „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“ დიდებული ხორავა გამოვაჩინოთ. აკაკი წერეთელზე დიდი პატრიოტი ვინ იყო? ჰოდა, არც მგოსნის ხმის ჩანაწერიც იქნებოდა ურიგო. არავინ იფიქროს, რედაქციის სამზარეულოში ცხვირს ვყოფდე, ზემოთქმული ოდენ კეთილი სურვილებია.

„კატა ვერ შეწვდა ძეხვსაო, პარასკევია დღესაო“. არ მინდა ამ ანდაზის ფილოსოფიიდან გამოვიდე. ბატონი ბონდო პარლამენტისთვის არ მემეტებოდა, ვფიქრობდი, ვაი, თუ „ცდუნებას“ ვერ გაუძლოს-მეთქი. „ცდუნებაში“ „კოჰაბიტაციას“ ვგულისხმობდი.

აქ კი, თავის საყვარელ საქმეში, დარწმუნებული ვარ, იგი „ბილწთ არ შაეკვრის ზავითა“

გულწრფელად გვიხარია, **ბონდო მძინარაშვილის** დაბრუნება. იგი კვლავ თავის სტიქიაშია.

რედაქტორი

მცირე რეპლიკა

„რაიონი“ თუ „მუნიციპალიტეტი“?

მარნეულისკენ მიმავალ გზაზე კუმისის ტბასთან აღმართს რომ მოილევ, სოფელ კოდის დასაწყისში აღმართულ დიდ ბანერს დიდი ასოებით აწერია: **„თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი“**. ე. ი. ეს ახლა აღმართეს, სულ 2-3 წელი იქნება, თორემ მანამდე მუდამ **„რაიონი“** ეწერა.

ისე გავგიჟდით, გადავირიეთ ამ უცხოურ ტერმინებზე, საშველი არ არის. რა ენა და მამულზე ველაპარაკო იმ ქართველს, რომელიც მამა-პაპურ წვრთნა-ვარჯიშზე **„ტრენინგს“** და წარდგენაზე **„პრეზენტაციას“** წარამარა გაიძახის? შეგეკამათება: საერთაშორისო სიტყვებიაო. კი ბატონო, მაგრამ უცხოელი ქართულ ტექსტს მაინც არ ან ვერ კითხულობს, მისი თარგმნა დაგვჭირდება და იმ თარგმანში იხმარე ეგ შენი საყვარელი **„ტრენინგ-პრეზენტაცია“**.

„რაიონი“ იმ მავანს, ვინც **„მუნიციპალიტეტი“** დააკანონა, ქართული სიტყვა ეგონა და სიახლის მიგნების სიხარულით თავბრუდახვეულმა წამოიძახა: „ევრიკა!“

არადა, ცალი თვალით მაინც რომ ჩაეხედა ლექსიკონში, მიხვდებოდა: საქმე სულ სხვანაირადაა.

რადგან იმ კაცს დაეზარა ლექსიკონის გამოყენება, მკითხველო, მოდით, მე და თქვენ ორივე თვალით ჩავიხედოთ: **„რაიონი“** – (ფრანგული) სივრცე, გეოგრაფიული ტერმინია, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული. **„მუნიციპალიტეტი“** – (გერმანული) – თვითმმართველობა. რა ვქნათ ახლა? სინონიმებად ჩავთვალოთ?

P.S. საერთოდ რაში გვჭირდება **„მუნიციპალიტეტი“**, როცა გვაქვს თავანკარა ქართული **„თვითმმართველობა“?** ყველა საჯარო სკოლაში ჩამოყალიბებულია **„მოსწავლეთა თვითმმართველობა“**. ვაითუ, მასაც **„მოსწავლეთა მუნიციპალიტეტი“** დაარქვან!

რედაქტორი

ცოტა ფავიხ უმრ-ფავი პოლიტიკოსოთ!

აფერუმ, მაგდა!

ნეტავ, იმ დღეს **„მაესტრო“** აღარ ჩამერთო! ამერიკულად შემაშფოთ-აღმაშფოთა ერთმა სარეკლამო ანონსმა: მალე ეკრანზე **მაგდა ანიკაშვილის** საავტორო პროექტის მიხედვით იხილავთ პოლემიკას თემაზე: **„გაიყიდოს თუ არა ქართული მიწა უცხოელებზეო“**. პროექტის ავტორმა, თითქოს მზითვად ჰქონდა გამოყოლილი, ყინჩად განაცხადა: **„უცხოელებზე ქართული მიწა უნდა გაიყიდოსო“**. ვა, კარტოფილია?!

ქვის გამხეთქი არგუმენტიც რომ გვქონდეს, ამისი გაფიქრებაც კი დიდი მკრეხელობაა, არა თუ სადისკუსიოდ გამოტანა. მერე ქართველები სად უნდა წავიდნენ? ასეთი პროექტი რამ მოგაფიქრებინათ, მაგდა? კონიუნქტურამ, თუ სხვა ზრახვებმა? დაგავიწყდათ, რომ ქრისტიან-დემოკრატიული პარტიიდან პარლამენტის წევრი იყავით? გეტყობათ, ქართულ სკოლაში არ გისწავლიათ, თორემ უთუოდ გეცოდინებოდათ: **მამულის დამცველ ქართველთა სისხლითა და ძველებით რომაა გაპოხიერებული თქვენგან გასაყიდად გამეტებული მიწა**. „არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა“, – ეს სიტყვებიც გეცოდინებოდათ. „და განცხრომით სხვაგან ყოფნას, მირჩევნია აქ სიკვდილი“, – ესეც გეცოდინებოდათ.

***

მოდერნპაროდია

მიწა რა მიწა, ზეცა რა ზეცა,
ყველას გვეყოფა შენცა და მეცა.
სმენა რა სმენა, თუ კი გაქვს რწმენა,
დიდი განძია ცოდნის შეძენა.
როგორ გაჩუმდა და გაინაბა,
ვის უნდა, აბა, პრემია „საბა?“
რის ტუალეტი, რა ტუალეტი?
მხოლოდ მე ვარო ნაღდი პოეტი.
რატი რა რატი, „საბას“ მანდატით
იმ პოეტებში გახდა მარატი.

***

ვინ არის?

მლიქვნელობის დიდოსტატი, მგონი, არის ცაცია
წვერი ენგელსს მიუგავს, „ფილაფოზი“ კაცია.

***

ჩვენ აქ გვყავდა იურისტი განათლების მინისტრი,
განათლების მისაღებად გააგზავნეს ინგლისში.

***

მიზერული ხარჯებით

ადვილად შეიძლება: ა) „როსინანტ“ ველოსიპედის რესპუბლიკის მოედნიდან აღება. ბ) დავით აღმაშენებლის ძეგლის დაბრუნება მის ყოფილ და კუთვნილ ადგილზე. გ) პირადობის მოწმობაში ეროვნებისა და მამის სახელის აღდგენა. ამაში ახლა ვინ გვიშლის ხელს?

***

რაიონს მუნიციპალიტეტი უწოდეს, ენის უცოდინრობის შედეგია. რაიონი გეორგაფიული სივრცეა, მუნიციპალიტეტი კი – ამ რაიონის თვითმმართველობა.

პოეტ-იურისტი
მოსე მწერალი

ყურადღება! განათლების სისტემის ყველა მუშაკს!

მეჯად საჭირო წიგნი

გამოვიდა თბილისის საგანმანათლებლო- აღმზრდელობითი დაწესებულებების **საინფორმაციო-სატელეფონო ცნობარი.**

იგი შეიცავს: საჯარო და კერძო სკოლების, პროფესიული და უმაღლესი სასწავლებლების, სახელოვნებო და სპორტული დაწესებულებების, საბავშვო ბაღების, მათ ხელმძღვანელთა საკონტაქტო მონაცემებს. ასევე: ბიბლიოთეკების, მუზეუმების, თეატრების, კინოთეატრების, გადაუდებელი საჭიროების სამსახურებთან დასაკავშირებელ მონაცემებს.

ცნობარი უთუოდ შეგიწყობთ ხელს როგორც სამსახურებრივი საქმიანობის, ასევე პირადი საჭიროება-ინტერესების დაკმაყოფილების საქმეში.

დაგვიკავშირდით: 2 34 41 41, 599 34 41 41
ელ-ფოსტა: moseshvilir@gmail.com
რომან მოსეშვილი

მთ. რედაქტორი ბორის მიშველაძე

სახალხო განათლება+, №14 (4535)
26 ოქტომბერი, 2016 წელი
გაზეთი გამოდის 1928 წლიდან

რ ე დ კ ო ლ ე გ ი ა

ზურაბ ქობალია (თავმჯდომარე) 599 343 727; ნათელა ქიმერიძე 595 58 45 72; ბორის მიშველაძე 555 59-60-50; რომან მოსეშვილი 599 34-41-41; ნათია გურგენიძე 593 42-22-58; ეკა მამუკაშვილი 557 20-85-04

ელ.ფოსტა: sakhalkho.ganatleba@gmail.com
ტელ.: (032)2 99 80 00
(032)2 98 48 07; (032) 2 99 63 52

ISSN 1987-9113